

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მიხეილ კუტიბაშვილის
ანგარიში 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის
შესახებ

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 12 ფრაქციის სხდომა, სადაც განხილული იყო 19 საკითხი. ჩატარდა კომისიის 6 სხდომა, დავესწარი 5 სხდომას. ასევე ბიუროს 21 სხდომიდან დავესწარი 17- ს, საკრებულოს 14 სესიიდან დავესწარი 13 სესიას. საკრებულოს მუშაობის პროცესში აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციას.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები.

წნორში განხორციელდა და მიმდინარეობს პროექტები, რომელშიც აქტიურად ვარ ჩართული.

კერძოდ:

მიმდინარე წელს დასრულდა წნორის მესამე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ევდოშვილის ქუჩაზე დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა კულტურის და დასვენების პარკი. ასევე სრულდება სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოასფალტდა და მოეწყო სანიაღვრე სისტემა სიხაშვილის ქუჩაზე. ასევე მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაემატა გარე განათება 9 აპრილის, რუსთაველის, ახმეტელის და სიხაშვილის ქუჩებზე.

სოციალურად დაუცველთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პოზიციაზე დავასაქმეთ 57 ბენეფიციარი.

მიხეილ კუტიბაშვილი.